

იტრუნე ჯანსაღ გარემოზე!

დაბინძურებული გარემო საშიშროებას უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. იმისათვის, რომ მომავალ თაობას შევუქმნათ ჯანსაღ გარემოში ცხოვრების პირობები:

- შემოუერთდით ყოველწლიურ მსოფლიო დასუფთავების კამპანიას;
- მოძებნე დაბინძურებული ტერიტორია პროექტის ვებ-გვერდზე განთავსებულ ინტერაქტიულ რუკაზე, გამოიჩინე ინიციატივა და დაასუფთავე ის;
- ერთად მოვახდინოთ საზოგადოების მობილიზება ნარჩენებთან დაკავშირებული პრობლემების გარშემო;
- გავზიარდოთ საზოგადოების ინფორმირებულობა მყარ საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან მიმართებაში;
- ხელი შევუწყოთ საზოგადოებაში სუფთა გარემოზე მოთხოვნილების გაჩენას;
- წარმოვაჩინოთ ნარჩენების რესურსებად გამოყენების შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების შემცირებას;
- ხელი შევუწყოთ მოსახლეობაში ნარჩენების სეპარაციის/დახარისხების უნარჩვევების გამომუშავებას;
- გავაცნობიეროთ უკონტროლო ნაგავსაყრელებიდან გამოწვეული გარემოს დაბინძურების საფრთხე და მისი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.



შენიშვნელი შეილგა ჭანელი გამომო და უზრუნველყოფა მათი მომავალი!

პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო – საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების კონსორციუმის: საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“-ს, კავშირი მდგრადი განვითარებისათვის „ეკოვიური“-ს და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველოს მიერ შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“

ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 6.

ტელ: +995 322 96 02 51

ელ-ფოსტა: orchisge@yahoo.com

ვებ-გვერდი: www.orkisi.ge; www.cleaup.ge

Clean Up
დაცვუფიციანი



Georgia
საქართველო

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი
„ორქისი“



SWEDEN

რა სახის ნარჩენი გვხვდება კონტეინერში?

მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი საყოფა-ცხოვრებო ნარჩენები ძირითადად წარმოადგენს პლასტიკასის ჭურჭლის, პოლიეთილენის პარკების, მეტალის საგნების, მინის ბოთლებისა და ქილების, ქაღალდის, მუყაოსა და საკვების ნარჩენების ნარევს. თუმცა, აღნიშნული ნარჩენების გარდა, კონტეინერებში ხვდება სახიფათო ნარჩენებიც; მაგალითად, ენერგოდამზოგი ნათურები, აკუმულატორები, გატეხილი თერმომეტრები, ვადაგასული წამლები ა.შ.

როგორ ვიქცევთ?

ხშირად საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავ-სებულია მიწის ზედაპირზე და წარმოადგენს გარემოს დაბინძურების წყაროს. მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებს როგორი რისკის შემცველია მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაყრა მდინარეების ნაპირებზე და ხევებში, საძოვრებისა თუ სახნავ-სათესი მიწების მიმდებარედ. უკონტროლოდ დაყრილი ნარჩენებისგან ბინძურდება გარემო ორგანული და არაორგანული დამაბინძურებელი ქიმიური ნივთიერებებით.



გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობა

კვლევების შედეგად დადგენილია, რომ ნიტრიტებით გარემოს დაბინძურება ინვეს ნერვული სისტემის და ლვიძლის დაავადებებს. ნიტრატებით დაბინძურებულ ტერიტორიებზე 10-ჯერ უფრო ხშირად ავადმყოფობენ სისხლის-წარმოქმნელი ორგანოების (ჰლენთა, ლვიძლი) დაავადებებით, 9-ჯერ უფრო ხშირად ანემით, 6-ჯერ უფრო ხშირად კანის დაავადებებით, 5,5-ჯერ უფრო ხშირად თანდაყოლილი ანომალიებით და 4,5 ჯერ უფრო ხშირად სასუნთქი ირგანოების დაავადებებით, ვიდრე სუფთა გარემოში.

დაბინძურებული წყლით გამოწვეული დაავადებებია:


ქოლერა, ტიფი, კანის და თვალის ინფექციური დაავადებები, მალარია, დიზინტერია, ენტერიკოლიტი, გასტრიტი, ჰემორაგიული სიყვითლე, ენცეფალიტი, პოლიომიელიტი, ჰეპატიტი, სალმონელოზი და სხვა.

დაბინძურებული ჰემორაგიული დაავადებებია:

ასთმა, ფილტვების ანთება და ფილტვის სხვა დაავადებები, ფილტვის კიბო, სხვადასხვა იმუნური და ალერგიული დაავადებები. ასევე, გულის სხვადასხვა დაავადებები, მათ შორის ინსულტი.

ნიადაგის დაბინძურებას ძირითადად იწვევს:

ნიტრატების და პესტიციდების არასწორი და გადამეტებული მოხმარება. ეს ნივთიერებები ნეიროგენესიკურობით, კანცეროგენულობით, იმუნოტოქსიკურობითა და ენდოკრინულ სისტემაზე ტოქსიკური ზემოქმედებით ხასიათდებიან და ბუნებაში ხანგრძლივი დაგროვების ეფექტით გამოირჩევიან.



რა კეთდება

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირის „ორქისი“-ს მიერ, პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ ფარგლებში, არაკონტროლირებადი ნაგავასაყრელებისაგან გამოწვეული საფრთხის და ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი უარყოფითი ზემოქმედების შესაფასებლად, მათი მიმდებარე ტერიტორიებიდან ხორციელდება საანალიზო ნიმუშების (წყალი, ნიადაგი, ჰემორი) აღება და ლაბორატორიულ პირობებში მათი ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზი (ეშერიხია კოლი, ტოტალური კოლიფორმები). ამასთანავე, ადგილზე განისაზღვრება მათი ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები. ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები ტარდება შემდეგი თანამედროვე მეთოდებით: იონ-სელექციური ქრომატოგრაფია, ატომურ-აპსორბციული სპექტრომეტრია, მემბრანულ-ფილტრაციული მეთოდი და სხვა. ჩატარებული კვლევის შედეგები გამოქვეყნდება და მიეწოდება ყველა დაინტერესებულ მხარეს, რათა გააცნობიერონ დაბინძურებული ტერიტორიებით გამოწვეული საფრთხეები.